ცნობის ფურცელი

№ 2303 შაბათი, 25 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2303

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

№ 11.

ქართული თეატრი

ტელეფონი № 617

კვირას, 26 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ხათაბალა

კომ. 4 მოქმ. თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ა. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ლ. მირიანაშვილი, ს. სვიმონიძე, საფაროვი, შალიკაშვილი. კ. ყიფიანი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ჰამლეტი“

რეჟისორი **აკაკი**

ავლაბრის ახალი თეატრი

◆ **უკანასკნელი წარმოდგენა** ◆

შაბათს, 26 ოქტომბერს, 1903 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

და-ძმა

დრამა 5 მოქმ. და 6 სურათ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძე, ნებიერიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. რეჟისორი **ყიფიანი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 25 ოქტომბერს, 1903 წ., პ. ი. ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების სახსოვრად გაიმართება

სამუსიკო საღამო

სამ განყოფილებად

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გალცინა, ლევინა, რენე-რადინა, ალმაევა, მელნიკოვა, ჩემესოვა, არციბაშევა, ჩიჟოვა, კარტავინა, კარრი, სელიუკ; ბ-ნნი: დარსკი, რაისკი, სელიავინი, ფიგნერი, ილიუშჩენკო, ამირჯან, ევლახიშვილი, შმაკოვი, კლაუზნერი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 26 ოქტ.—„ევგენი ონეგინი“, ჩაიკოვსკისა; 27 ოქტ.—მასწავლ. ქალთა საზოგად. სასარგებლოდ.—„რომეო და ჯულიეტა“, გუნოსი. (ნ).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. - 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 - 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაქისა. (წლ.)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (უ. 0—2)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (10—ნ.—9)

„ცნ. ფურ.“-ს რედაქციისაგან

ვისაც უკანასკნელი ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქაროს შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ნოემბრიდან ჟურნალი და გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საზღვარ-გარედ

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

რუსეთის ელჩს ბარონ როზენსა და იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს ბარონ კომურას მეხუთედ ჰქონდათ თათბირი, მაგრამ დღემდე ვერავინ გაიგო, რა მოილაპარაკეს ამ თათბირის დროს და რა გადასწყვიტეს,—ეს დეპეშებიდანაც გეცოდინებათ.—ამ თათბირის თაობაზე „ტაიმს“-ს სწერენ ტოკიოდან: „საქმე კარგად მიდის, იმედია, ამ მოკლე ხანში ომი აღარ მოხდეს. იაპონიის ელჩის მდივანი რუსებმა იონამპოში არ შეუშვეს. იაპონიამ ამაზე პროტესტი გამოაცხადა; რუსეთის ელჩმა სეულში ბ-მა პავლოვმა რუსების საქციელი უკანონოდ სცნა და იაპონიას დაჰპირდა, ვეცდები, ამისთანა საქმე ამას იქით აღარ მოხდესო. ტოკიოდან ოფიციალურად იუწყებიან, რუსები იონამპოს ამაგრებენო. იქნება, ამის თაობაზე დიდი ამბები მოხდეს, რადგან იაპონიის აზრით, იონამპოს გამაგრება კორეის სამფლობელოს დაჭერას მოასწავებს. 10 ოქტომბერს ვიუში 40 რაზმი რუსის ჯარი მოვიდა და მერე ისევ საითღაც წავიდა. კორეის სამფლობელოში კიდევ სხვა 200 რუსის რაზმი შემოვიდა.

მით მაინც ცა იწმინდება და რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკება მალე მშვიდობიანად დასრულდება“.

რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების თაობაზე რუსულ გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს სწერენ პარიზიდან:

„პარიზში ამბავი მოვიდა, რუსეთმა და იაპონიამ მოლაპარაკება დაასრულესო. მთავარმართებელი ადმირალი ალექსეევი პეტერბურგს წავა და მოლაპარაკების შინაარსს უმაღლეს მთავრობას მოახსენებს. იაპონელებმა მანჯურიას თავი გაანებეს, ეხლა ლაპარაკი მარტო კორეიაზე, ესე იგი, კორეის გაყოფაზე-ღა აქვთ. ეს ამბავი სარწმუნო კაცისაგან შევიტყე და ამიტომ თქვენც გატყობინებთ“.

◆ რუსეთი კიდევ ახალ ადგილებს იჭერს კორეაში. ინგლისურ გაზ. „ჯ. ვ. მეილ“-ს ატყობინებენ სეულიდან: ფხიონ-იანის პროვინციაში რუსებმა ქვა-ნახშირის მადნებში მუშაობა დაიწყესო. ჩემულპოში 50 მანქანა მიუტანიათ მადნებში გასაგზავნად. იაპონიამ, ინგლისმა და ამერიკამ ამაზე კორეის მთავრობას პროტესტი გამოუცხადეს.

იაპონურ გაზ. „ასაჰი“-ს სეულიდან ამნაირი დეპეშა მიუღია: იან-ჩინს ახლო პოიონის მთაზე 4 უცნობმა რუსმა ტყე გაჩეხა და სახლები აიშენა. ადგილობრივ მოხელეებს რუსებმა გამოუცხადეს, ეს ადგილი იონამპოს კონცესიის სამფლობელოს ეკუთვნისო“. „ჯ. ვ. მეილ“-ი შეჰნიშნავს ამის თაობაზე: „პო-იონი და იონამპო სულ სხვა და სხვა ადგილებია; კორეის ადგილობრივ მოხელეებს რუსებისათვის პო-იონში დასახლება დაუშლიათ და ეს ამბავი მთავრობისათვის შეუტყობინებიათ. რუსეთის ელჩი ბ-ნი პავლოვი დაემუქრა თურმე კორეის მთავრობას, თუ იონამპოს კონცესიას არ დაამტკიცებთ, რუსეთი აღარას დაგეკითხებათ და 1896 წლის შეთანხმების ძალით მდინარე იალუზე ადგილებს დაიჭერსო. ეს შეთანხმება გამოცხადებული არა ყოფილა, ამიტომ ჩვენ არ ვიცით, ამ შეთანხმების ძალით რა უფლება აქვს მინიჭებული რუსეთს. რუსეთმა იონამპოც კორეის მთავრობის დაუკითხავად დაიჭირა, ეხლა კიდე პო-იონის დაჭერას აპირობს. თუ 1896 წლის შეთანხმებას ასეთი ძალა აქვს, მაშინ მთელის მდინარე იალუს ველი რუსეთის სამფლობელო გახდება“.

იაპონური გაზ. „ჯიჯი-შიმპო“ იაპონიის მთავრობას ურჩევს, კორეის მთავრობას დაუყოვნებლივ კონცესია გამოართვით და სეულ-იაჩჟუს რკინის გზა ააშენეთო.

ინგლისურ გაზ. „ტაიმს“-ს ატყობინებენ შანჰაიდან: 17 ოქტომბერს იაპონიის მთავრობამ ჩინეთთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობას ხელი მოაწერაო.

პარიზის შრომის ბირჟაზე მომხდარ უწესოების ამბავი

ეს ამბავი ეხლა უფრო დაწვრილებითაა ნაამბობი გაზეთებში.

პარიზში ბევრი შრომის კერძო ბიუროა გამართული. ეს ბიუროები თურმე მეტად უსინიდისოდ ექცეოდნენ საქმის მძებნელ ხალხს. პარიზელ მუშებს ამაზე ჯავრი მოსდიოდათ და დიდი ხანია კერძო ბიუროების დახურვა ეწადათ. იქით კვირია, ოთხშაბათს, მეპურეებისა, კონდიტრებისა, ყასბებისა და სხვა მუშების დელეგატებმა შრომის საპარლამენტო კომისია ნახეს და მოსთხოვეს შრომის კერძო კანტორები დაუყოვნებლივ დაკეტეთო. დელეგატებმა გამოუცხადეს კომისიას: მთავრობა ჩვენთვის არას არიგებს; მუშებს მოჰბეზრდათ ამდენი ლოდინი, ამიტომ ქუჩაში გავალთ, თუ დაგვჭირდა ძალასაც მოვიხმარებთ და ჩვენსას გავიტანთო. კომისიის წევრებმა სთხოვეს დელეგატებს: დაწყნარდით, კერძო ბიუროების დახურვის თაობაზე ხვალვე მოხსენებას წარვუდგენთ პალატასაო. ამას გარდა კომისიამ მიანდო თავისს პრეზიდენტს, კომბს მოელაპარაკე და რამე ღონისძიება აღმოაჩინეთ, რომ კერძო კანტორებს ხალხის მოტყუება და ყვლეფა აღარ შეეძლოთო. მეორე დღეს, ხუთშაბათს, შრომის ბირჟის შენობაში 4 ათასმა მუშამ კრება მოახდინა და ამ საქმეზე მოილაპარაკა. მუშები ძალიან ჰღელავდნენ. პოლიციის პრეფექტი შეშინდა, ვაი თუ მუშები კრების შემდეგ კერძო კანტორებს დაეცნენო, პოლიცია დაიბარა და შრომის ბირჟასთან დააყენა. კრების შემდეგ პოლიცია მუშების გაფანტვას შეეცადა. მუშებიც მაგრა დაუხვდნენ და პოლიციას ქვებსა, სკამებსა, ბოთლებსა და ჭიქებს ესროდნენ,—ეს იარაღი მუშებს რესტორანიდან გამოჰქონდათ. პოლიცია მთელის დღის განმავლობაში შრომის ბირჟაში აღარავის არ უშვებდა. ხაღამოს 5 საათზე ბირჟიდან მუშები სულ გამორეკეს და იქ ჯარის-კაცები ჩააყენეს. 60-მდე მუშა დაატუსაღეს.

ავსტრია-რუსეთის ნოტა და ოსმალეთი

ავსტრიამ და რუსეთმა ამას წინად საერთო ნოტა წარუდგინეს ოსმალეთს. ნოტაში დაწვრილებით ჩამოთვლილი იყო, თუ რა რეფორმები უნდა მოახდინოს ოსმალეთმა მაკედონიაში. გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან: „ავსტრიამ და რუსეთმა ცალკე ნოტით მოსთხოვეს ოსმალეთის მთავრობას, ჩვენი პროგრამა მთლად უკლებლივ უნდა აასრულოთო და რაც უფრო ჩქარა აასრულებთ, მით უფრო კარგი იქმნება თითონ ოსმალეთისათვისაო. ხონთქარი ჯერ ელის, ჯერ უნდა გაიგოს, სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც მხარს დაუჭერენ ავსტრია-რუსეთის პროგრამას, თუ არაო. ეგ არის, სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებს ჯერ ხმა არ ამოუღიათ ამ საქმეზე; ეტყობა, ესენი მხოლოდ მაშინ ამოიღებენ ხმას, როცა ოსმალეთი რეფორმების პროგრამას წინააღმდეგობას გაუწევს. ავსტრია და რუსეთი თხოულობენ, ოსმალეთის უმაღლეს კომისარსა და იმის რუს და ავსტრიელ თანაშემწეებს ბიტოლიაში (მონასტირში) ჰქონდეთ ბინაო. ოსმალეთის მთავრობას ყველაზე ძლიერ ისა სწყინს, რომ ავსტრია-რუსეთის პროგრამის ძალით მაკედონიის მმართველობას უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებმა კანტროლი უნდა გაუწიონ, ჟანდარმერია სულ ახალ წესზე უნდა მოეწყოს და მაკედონიის ოლქები მცხოვრებთა ეროვნების დაგვარად უნდა განაწილდესო“.

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, ხონთქარსა და იმის მინისტრებსაც ფიქრადაც არ მოსდით რუსეთ-ავსტრიის პროგრამის ასრულებაო. ინგლისური და ფრანგული პრესსა იუწყება, თუ ოსმალეთი ავსტრია-რუსეთის პროგრამას არ აასრულებს, შეიძლება ევროპის სახელმწიფოების ესკადრებმა საერთოდ დემონსტრაცია მოახდინონ ოსმალეთის წინააღმდეგაო. „ტაიმს“-ი სწერს: თუ ძალა არ დაატანეს, ოსმალეთი რეფორმების პროგრამას არ აასრულებს. იმედი გვაქვს, რომ ყველა სახელმწიფო მონაწილეობას მიიღებს ამ საქმეში. „დეილი ნიუს“-ი სწერს: რუსეთ-ავსტრიის ნოტა ოსმალეთის ბატონობას მაკედონიაში ბოლოს მოუღებსო.

ახალი ამბავი

◆ ბიულეტენი კავკასიის **მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობისა 24 ოქტომბრის საღამოს 8 საათისა:

„უკანასკნელ ოთხის დღის განმავლობაში დილისა და საღამოს ტემპერატურა ჩვეულებრივს ზომას არ გადასცილებია. თვით-გრძნობიერება და საერთო მდგომარეობა კარგი აქვს. ჭრილობები გასუფთავდა და ურჩება“.

მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

◆ როგორც გავიგეთ, **სოხუმის** ქალაქის მოურავად **არჩეული ვ. ნ. აბულაძე** მთავრობას უკვე დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე.

◆ თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა ტფილისის **ნოქართა დამხმარებელი საზოგადოება**, მაგრამ მაინც საზოგადოება დიდ უნარს იჩენს. როგორც 1902 წ. ანგა-

ეროვნული

რიმიდანა სჩანს, საზოგადოებას ჰყავდა 161 წევრი. რაც შეეხება საზოგადოების შეძლებას 1903 წ. 1 იანვრისათვის დარჩენია 3661 მან. 36 კაპ. შარშან, 1902 წ. საზოგადოებას აუღია ნება-რთვა და გაუხსნია კიდეც სამკითხველო, სადაც ყოველთვის მოიპოვება ადგილობრივი და რუსეთის ჟურნალ-გაზეთები. გარდა ამისა, საზოგადოებამ ტფილისში დაითანხმა მრავალი სავაჭრო ფირმა და აქედან ნება ეძლევათ წევრთ ისარგებლონ ყოველისავე საოჯახო საგნით დაკლებულის ფასით. ამისათვის საზოგადოებამ შეადგინა სიები ამ ფირმებისა და აგრეთვე დანახარჯის წიგნაკებიც, რომლებიც ურიგდებათ წევრთ საზოგადოებისავე კანტორაში. (განოვის ქუჩა, ა. ფრიდონოვის სახლი). საზოგადოება ამ ჟამად იმის ზრუნვაშია, რომ როგორმე მალე მოაწყოს წევრთათვის საექიმო დახმარება. არ შეიძლება აგრეთვე სიამოვნებით არ აღვნიშნოთ სიმპატიური ინიციატივა საზოგადოებისა სავაჭრო კლასების დაარსების საქმეში. როგორც გავიგეთ, საზოგადოებას უმაღლეს მთავრობისათვის უკვე წარუდგენია თავისი პროექტი დასამტკიცებლად. იმედია, ამ კეთილ განზრახვასაც მალე ეღირსება განხორციელება.

◆ კავკასიის საბებიო ინსტიტუტის ექიმებმა ქ-ნთ ნ. კონდრატიევამ, მ. იოსელიანმა, ვ. ევიზ-კრიმმა და ბ-ნთ ა. ხატისოვმა, ხუდაბაშევმა, ი. მეფისოვმა და ეგიაზაროვმა მოხსენება წარუდგინეს ტფილისის ქალაქის გამგეობას. ხსენებული ექიმები სთხოვენ ქალაქის თვით-მმართველობას, ნება მისცეს მოაწყონ **ღარიბ მცხოვრებთათვის** საბებიო და საგინეკოლოგიო დახმარება შემდეგის პირობით: 1. დღეს დაწესებული ღამის მორიგეობა შეიცვლება დღე-ღამის მორიგეობად, რომ ღარიბებს ყოველს წამს შეეძლოთ უსასყიდლოდ დახმარება მიიღონ ექიმებისაგან; 2 მორიგი ექიმი საჭიროების დროს გამოიწვევს დასახმარებლად სხვა ამხანაგ ექიმებს; ამასთან, როცა მთხოვნელი მორიგ ექიმს სხვაგან წაიყვანს, მაშინ იმის ნაცვლად მორიგად ჩადგება მეორე ექიმი; 3. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქმნება სამძიმო აპერაცია, ავადმყოფს ინსტიტუტში გაჰგზავნიან; 4. აღნიშნულ 7 ექიმის ბიურო მოეწყობა საბებიო ინსტიტუტის სადგომში. ამას გარდა, როცა ინსტიტუტი სავსე იქმნება ავადმყოფებით, ექიმები ავადმყოფების სახლში ივლიან; 5. ამ შრომის ფასად ექიმები თხოულობენ ქალაქისაგან დღე-ღამეში 5 მანეთს ე. ი. წელიწადში 1800 მან. გამგეობამ ეს მოხსენება გადასცა ჯან-მრთელობისათვის მზრუნველ კომისიას.

◆ ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ დაამთავრა კიდეც განხილვა ქალაქის 1904 წლის **ხარჯთ-აღრიცხვისა.** გამგეობის ანგარიშით, მოსალოდნელი შემოსავალი უდრის 1,462,580 მანეთს, ხარჯი 1,625,143 მან. ასე რომ ქალაქს 170,000 მანეთზე მეტი დეფიციტი მოელის. რადგან ქალაქის გამგეობამ არ აღნიშნა წყარო, საიდანაც დეფიციტი უნდა დაიფაროს, კომისიამ მოსალოდნელი ხარჯი შეამცირა ამ რიგად: გამოირიცხოს ხორცის დუქნებისათვის ნათხოვნი 35,000 მანეთი; რადგან ქალაქის ქუჩების მოსაკირწლავად კომისია არსებობს, რომელსაც საჭირო თანხა აქვს, ამ საქმისათვის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი 18,108 მან უნდა გამოირიცხოს. უნდა გამოირიცხოს აგრეთვე: 19,839 მან., რომელიც წყლისმილის გასაუმჯობესებლად იყო გადადებული, რადგან ამ საქმისათვის ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე გადადებულია 215,000 მან., ქუჩების გასანათებლად ზედ-მეტად გადადებული 14,877 მან., პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის სადგომის ასაშენებლად გადადებული 11,000 მან. კომისიამ დაადგინა შეტანილ იქმნას 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. ამავე ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ უნდა იქმნას დიდუბის მცხოვრებთათვის სამკურნალოს ასაშენებლად გადადებული 4540 მან. ამ რიგად საფინანსო კომისიამ შეამცირა 30 მუხლზე მეტი. გუშინ, 24 ოქტომბერს, უკანასკნელი სხდომა ჰქონდა საფინანსო კომისიას ხარჯთ-აღრიცხვის დასამთავრებლად.

◆ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა **შუამდგომლობა აღძრა** მთავრობის წინაშე, რომ იმათ, რომელნიც ტფილისის სახელოსნო სასწავლებელს დაასრულებენ, ისეთი შეღავათი მიეცეთ სამხედრო ბეგრის ასრულების დროს, როგორიც სხვა სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ ეძლევათ.

◆ 22 ოქტომბერს აზიურ ტანისამოსის მკერვალთა ამქრის წევრებს უსტაბაშის თავმჯდომარეობით მოლაპარაკება ჰქონდათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოაწყონ ამ ამქრის **ობოლთა და გაჭირვებულ ქვრივთა** დახმარება. კრებამ დაადგინა, გამოიტანოს ამქრის თანხა სახელმწიფო ბანკიდან და ისეთი საქმე დაიწყოს, რომ სარგებელი დარჩეს. ამ სარგებლით ქვრივ-ობლებს დახმარებას აღმოუჩენენ. მოსალოდნელ სარგებლიდან 200 მანეთი უნდა გადაიდოს ორ ღარიბ გასათხოვარ ქალისთვის. უნდა დაწესდეს აგრეთვე პატარა ფონდი, საიდანაც შემწეობა აღმოეჩინებათ ავადმყოფობის დროს ქვრივებსა და ობლებს. კრებამ ბოლოს დაადგინა, ამოირჩიოს კომისია უსტაბაშის თავმჯდომარეობით. კომისიამ უნდა აღძრას შუამდგომლობა ბანკიდან ფულის გამოტანის შესახებ. ამავე კომისიამ უნდა განახორციელოს კრების დადგენილებანი.

◆ კვირას, 2 ნოემბრისთვის, დანიშნულია კრება **სომხურ დრამატიულ საზოგადოებისა.** კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა და აარჩიოს გამგეობის ორი წევრი. კრება მოხდება „საარტისტო საზოგადოების“ სადგომში.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, **სახელოსნო სასწავლებლის** მოსწავლეთ კურსის დამთავრების დროს უნდა ეძლეოდეთ 25% იმ ფულისა, რომელიც შემოვა სასწავლებელში დამზადებულ ნივთების გაყიდვით. 1893 წლიდან ეს დადგენილება არ აუსრულებიათ თურმე. ამიტომ ხელოსანთა მოურავმა შუამდგომლობა აღძრა გამგეობის წინაშე, რომ სწავლის დასრულების დროს მოსწავლეთ უსათუოდ მიეცეთ ხოლმე ფული.

◆ ტფილისში, როგორც „ტიფ. ლის.“-ს გაუგონია, ამ ცოტა ხანში მოხდება კავკასიის სამოსწავლო ოლქის საშუალო სასწავლებელთა **დირექტორების კრება.** კრებამ უნდა შეიმუშაოს წესი თვალ-ყურის დევნებისა მოსწავლეებზე როგორც სასწავლებელში, ისე სასწავლებელს გარედ.

◆ ტფილისში ჩამოსულა **სპარსეთის შაჰის ბიძა**შვილის შვილი პრინცი მანუჩეხრ-მირზა, მუქთად ირუდდოვლე. ტფილისშივე ჩამოვიდა სპარსეთის ახალი ელჩი მირზა-ფარაჯულა-ხან მუსტან-სარუს-სალტანე.

◆ 22 ოქტომბერს კარაკლისთან **ერთმანეთს დაეჯახა** საქონლისა და მუშა მატარებელი. დაშავდნენ მემანქანენი ხომიაკოვი და აკულოვი. რამდენიმე ვაგონი დაამსხვრა.

◆ ბ-ნნი ხატისოვი და ბრაილოვსკი სააქციონერო საზოგადოებას ადგენენ სოლოლაკის გორას ქვეშ **ტუნელის გასათხრელად.**

◆ პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ის ადგილი, რომელიც დორთქიფანიძეს ეჭირა, უკვე განთავისუფლდა. ამ ადგილზე გამგეობას გაჰყავს დიდუბის ქუჩა.

◆ არსენალის ქუჩისა და არხიპოვის მოსახვევ ქუჩის მცხოვრებლებმა 24 ოქტომბერს საერთო თხოვნა მისცეს ტფილისის ქალაქის გამგეობას იმათ ქუჩებში წყლის არხის გაყვანის შესახებ.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნი „Кустарная промышленность на Кавказѣ“, წიგნი მეორე, გამოცემული კავკასიის შინა წრეწველობის კომიტეტის მიერ.

◆ 23 ოქტომბერს ორთაჭალის ბაღში სოფელ საგარეჯოს მცხოვრებ საბა დასიგარაძეს წაუყვანია საქეიფოდ ცუდი ყოფა-ქცევის ქალი მანუკოვისა. დასიგარაძე ისე დამთვრალა, რომ დანის ქნევაც დაუწყია, მოუხვედრებია გულში და სასიკვდილოდ დაუჭრია თავი. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ გოლოვინის პროსპექტზე, სახელმწიფო თეატრის პირდაპირ, ექიმ ანანოვის შენობიდან 23 ოქტომბერს გადმოვარდა მუშა პეტროს ხაჩატუროვი, რომელიც სასიკვდილოდ დაშავდა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ ვილაეტის აფთიაქიდან 22 ოქტომბერს ვიღაც ქურდს მსახურისათვის მოუპარავს 40 მანეთიანი პალტო. ეჭვი მიიტანეს სოფელ კუხის მცხოვრებს სევერიან ჯიშკარიანზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ ვიატკის საგუბერნიო ერობას შუამდგომლობა ჰქონდა აღძრული ფინანსთა მინისტრის წინაშე საზღვარ-გარეთიდან ერობის მიერ გამოწერილ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებზე ბაჟის გაუქმების შესახებ. ამ დღეებში ვიატკის გუბერნატორმა აცნობა საგუბერნიო გამგეობას, რომ მინისტრმა შესაძლებლად ვერა სცნო ამ შუამდგომლობის შეწყნარებაო.

◆ კოსტრომის გუბერნიის რამდენსამე მაზრაში მოუსავლობისა გამო ხალხი დიდ გაჭირვებაში ყოფილა.

◆ სარატოვის გუბერნატორს აუკრძალავს საგუბერნიო საერობო გამგეობისათვის გუბერნიის გარედ გუბერნატორის ნება დაურთველად სამსახურის საქმეებისა გამო საერობო გამგეობის წევრის გაგზავნა. გუბერნატორი ავალებს გამგეობას, ასეთი შემთხვევა ბ იმ პირის ვინაობა, რომელიც გასაგზავნად დაინიშნება, წინდაწინვე აცნობონ ხოლმე.

◆ 18 ოქტომბერს ნიჟნი-ნოვგოროდის სატუსაღოში ერთი ტუსაღი კარცერში წამყვან ზედამხედველს დანით მივარდნია. ზედამხედველიც ხმლით დაჰხვედრია. შეტაკების დროს ორივენი დაჭრილან. ამ ამბავს აუღელვებია ტუსაღები და უწესოება მოუხდენიათ. დასამშვიდებლად გამოუწვევიათ ერთი რაზმი ცხენოსან ჯარისა.

◆ როგორც ფინლიანდიის გაზეთები იუწყებიან, ფინლანდიის ზოგიერთს ადგილებში წელს ხშირის წვიმებისა გამო ძლიერ ცუდი მოსავალი ყოფილა და ამ მოუსავლიან ადგილებში დიდი შიმშილია მოსალოდნელიო.

◆ სავაჭრო ნავოსნობის უმთავრეს სამმართველოს შეუმუშავებია დიდი პროექტი რუსეთის სავაჭრო ნავთ-სადგურების გაფართოვებისა და მოწყობისა. ამ პროექტის განსახორციელებლად საჭიროა 150 მილიონი მანეთი.

◆ პეტერბურგის ქალაქის უფროსს განკარგულება გაუცია, რომლის ძალითაც პოლიციელთ ნება ეძლევათ, მოსთხოვონ თეატრების ადმინისტრაციას, რომ წარმოდგენები უსათუოდ საღამოს 11 საათამდე თავდებოდეს და არასდროს 11½ საათზე გვიან. პოლიცია ვალდებულია, თვალ-ყური ადევნოს ამ განკარგულების განხორციელებას.

◆ რიაზანის ქალაქის საბჭოს უარ-უყვია გუბერნატორის წინადადება, პოლიცმეისტრისათვის სამგზავრო ხარჯად ქალაქის მხრივ 800 მანეთის დანიშვნის შესახებ. ეს წინადადება გუბერნატორმა მეორედ წარადგინა საბჭოში, მაგრამ საბჭომ მეორედაც ერთხმად უარ-ჰყო.

პრესსა

„პეტერბ. ვედომ.“ 286 №-ში დაბეჭდილია ალ. კახის წერილი კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. ავტორი ახასიათებს ჩვენში სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობას, ხალხის სამკურნალო დახმარების საქმის ორგანიზაციას, სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობას და ამტკიცებს, რომ ყველა ამის გასაუმჯობესებლად საჭიროა საერობო დაწესებულებათა შემოღება, რადგან ადგილობრივ ადმინისტრაციას არ ძალ-უძს თავისის პირდაპირის საქმე-მოვალეობის აღსრულებაც მოასწროს და საერობო საქმესაც გაუძღვეს. ეს საბუთები ახალი არ არის: ყველა შუამდგომლობაში და ადგილობრივ პრესსაში ბევრჯელ დაუწერიათ იგივე, მაგრამ, კრილოვისა არ იყოს, „ურემი ისევ იქ არის“, და ამიტომ განმეორება საბუთებისა მეტი არ არის...

სხვათა შორის, ბ. კახი აღნიშნავს იმასაც, რომ, ზოგიერთის აზრით, თუ კავკასიაში ერობა იქმნა შემოღებული, უთუოდ შეცვლილი და შეზღუდული უნდა იყოსო. ამის პასუხად ბ. კახს მოჰყავს რუსეთის კონსერვატიზმის მამამთავრის მიხ. კატკოვის სიტყვები:

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

XVIII

მანიფესტაცია მანჩესტერში. მორლეისა, როზბერისა, ასკიტისა და კემპბელ-ბანერმანის სიტყვები.—გლადსტონის ბიოგრაფია.

ეხლა მთელი ინგლისი ნამდვილად ორ ბანაკად გაიყო: ერთ ბანაკში მფარველობით ბაჟების მომხრენი არიან, მეორეში თავისუფალ ვაჭრობის დამცველნი. პოლიტიკურ პარტიების ჩვეულებრივი დას-დასად განაწილება დროებით მიივიწყეს. კონსერვატორებისა, უნიონისტებისა, ლიბერალებისა და რადიკალების პარტიები სულ აირ-დაირია. ყველა პარტიის გონიერი, განათლებული და გავლენიანი კაცები მომეტებულ ნაწილად თავისუფლად ვაჭრობის დასაცავად ერთმანეთს უერთდებიან და ყოველ ღონეს ღონობენ, რომ ხალხის საჭმელს ბაჟი არ დაედოს. ბალფურის და ჩემბერლენის მხარეს ერთი გავლენიანი კონსერვატორი, ერთი ნიჭიერი მინისტრიც-კი აღარ დარჩა. დევონშირის ჰერცოგმა, ლორდ გოშენმა, ჩერჩილმა, სოლსბერის შვილმა—ჰიუგ სესილმა—სულ წმინდა კონსერვატორებმა, გამოჩენილმა მინისტრებმა და ორატორებმა სამინისტროს თავი დაანებეს და ბალფურის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა.

მეორეს მხრით ყველა პროგრესიული დასი თავისუფლად ვაჭრობის ბაირაღს ქვეშ ერთდებიან, პილისა, კობდენისა, ბრაიტისა და გლადსტონის ბაირაღ ქვეშ იკრიბებიან. ლიბერალური პარტია აქამდე ორ დასად იყო გაყოფილი: ერთ დასში იმპერიალისტები იყვნენ როზბერისა, ასკიტისა და სხვების მეთაურობით, მეორე დასში—ნამდვილი ლიბერალები და რადიკალები. ეხლა ორივე დასი შეერთდა და ერთპირად და ერთსულად იცავს საშინელის ბრძოლით ნაშოვნ უფლებას. ყველა ალაპარაკდა, ყველა შეინძრა: თუ რეაქციონერებმა ორი დიდი კრება გამართეს, ერთი ჩემბერლენისათვის, ლიბერალებმა კიდევ 24-ზე მეტი კრება-მანიფესტაცია მოახდინეს. ასკიტმა სამი დიდი სიტყვა წარმოსთქვა საფინანსო რეფორმაზე და ჩვეულებრივ ჰკვიანურად, გესლიანადაც ილაპარაკა; როზბერიმ ძლიერის გრძნობით სავსე მშვენიერი გრძელი სიტყვები წარმოსთქვა; კემპბელ-ბანერმანმაც დიდი საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა; ამას გარდა ბრაისმა, ლეონარდ კურტნეიმ და მრავალმა სხვა პროფესორმა და მწერალმა ილაპარაკეს... ყველა ეს კრება და სიტყვები გუშინ დიდებულის მანიფესტაციით დაგვირგვინდა მანჩესტერში, სადაც ჯონ მორლეიმ—სახელწიფო მოღვაწეებსა და მწერლებში ამისთანად არავინ უყვარს ხალხსა—თითქმის ყველაზე უკეთესი სიტყვა წარმოსთქვა თავისუფალ ვაჭრობის კავშირის სასახლეში. სასახლის დარბაზი ხალხით ყოფილიყო გაჭედილი,

მანჩესტერი, სამხედრო ენით რომ ვსთქვათ, წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში იმ დროის რეფორმატორების მთავარი ბინა იყო. იმ დროს მანჩესტერში დიდი აგიტაცია იყო გამართული: რაც მაშინ დიდი საქმე გარიგდა, ყველაფერს მანჩესტერის მოღვაწეებმა აუშალეს თავი და გულ-მხურვალედა, თავდადებითა და ნიჭიერადაც იცავდნენ. საარჩევნო წესების რეფორმა, პურის კანონების გაუქმება, ყარიმის ომის წინააღმდეგ აგიტაცია, სარწმუნოებრივი თავისუფლება და სასკოლო საერო რეფორმა 1869—71 წ.წ. პირველად მანჩესტერის მოღვაწეთ ითავეს. ზანგების განთავისუფლების დროს მანჩესტერმა ლინკოლნის პოლიტიკასაც დიდი დახმარება გაუწია. მანჩესტერის მოღვაწეებში ყველაზე მეტად კობდენმა და ბრაიტმა ისახელეს თავი. ორივე მეტად შესანიშნავი სახელმწიფო კაცები და სახელოვანი მოღვაწეები იყვნენ. ამნაირ კაცებით ყოველ ქვეყანას შეუძლიან მოიწონოს თავი. ამ ორ გათქმულ მოღვაწესა და მანჩესტერს მარტო ერთის საქმის—პურის კანონების გაუქმების (1846 წ. გაუქმდა) მეტიც რომ არა გაერიგებინათ რა, ესეც კი საკმარისი იქნებოდა, რომ ამათი (კობდენისა, ბრაიტისა და თითონ ქალ. მანჩესტერის) სახელი ყოველთვის უკვდავი ყოფილიყო და შთამავლობასაც საუკუნოდ მადლობით მოეხსენებინა. რაღა გასაკვირველია, რომ მანჩესტერმა ეხლაც თავი გამოიდო თავისუფალ ვაჭრობის დასაცველად, თავის დროზე ხალხისაგან დაწყევლილ პურის კანონების აღდგენის წინააღმდეგ ხმა ამოიღო და თავის მანიფესტაციაზე ორატორად კობდენისა და გლადსტონის ბიოგრაფი, ჯონ-

ეროვნული

„ადგილობრივ თვით-მმართველობის თავისუფლება თავდებია იმისა, რომ ეს დაწესებულება, თუ რიგიანად არის მოწყობილი, სასარგებლო იქმნება და გაიმარჯვებს. განა შეუძლია ერობას ხელი შეუწყოს სახელმწიფოს განმტკიცების საქმეს და ბეჯითად იმუშაოს, თუ მას ბიუროკრატიის აპეკით დაახრჩობენ?!“ (მოსკოვ. ვედ.“ № 39. 1870 წ.).

„ადგილობრივ თვით-მმართველობის გამარჯვებისათვის (იმეორებს კატკოვი იმავე წლის მე-70 №-ში) აუცილებლად საჭიროა ერობის თავისუფლება ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ერობა სალაყბოდ გადაიქცევა და სარგებლობის მაგიერ ვნებას მოუტანს მცხოვრებთ. საუმჯობესო იქმნება სრულიად მოისპოს ერობა და ხალხი მეტ გადასახადისაგან განთავისუფლდეს, ვიდრე დაარსდეს შეზღუდული თვით-მმართველობა, რომელსაც თვით-მმარველობის მხოლოდ გარეგანი ფორმა აქვს და არა შინაარსი“.

* * *

კატკოვის ამ მშვენიერ სიტყვების გასამართლებლად შემდეგ სამწუხარო ამბავს მოვიყვანთ: „ტიფლ. ლისტოკ“-ს ვლადიკავკაზიდან სწერენ, რომ თერგის ოლქის ნავთის მრეწველთა მე-VII კრებას დაუდგენია გაუქმდეს მრეწველთა საბჭო და კრება; მოისპოს თვით-მმართველობა და ყველა საქმე საოლქო ადმინისტრაციას გადაეცესო. ამის მიზეზი სწორედ ის ბიუროკრატიული აპეკა ყოფილა, რომელზედაც კატკოვი გვითითებს. კრების საფინანსო კომისიას თავის მოხსენებაში აღუნიშნავს, რომ ყოვლად შეუძლებელი ყოფილა წინანდელ კრების დადგენილებათა აღსრულება, რადგან, კანონით, საბჭოს ნება არ ჰქონია არც გადასახადის გაწერისა მრეწველებზე, არც ფულის დახარჯვისა; ყოველივე ეს ადგილობრივ სამხედრო მმართველობის ზედამხედველობის ქვეშ ყოფილა; ეს მმართველობა-კი მთელის წლობით იხილავს თურმე საბჭოსა და კრების შუამდგომლობათ, ფულს არ იძლევა და, საზოგადოთ, ავიწროებს თვითმართველობის დაწესებულებას. ამ სასტიკ აპეკის წყალობით საბჭოს ვერ მოუხერხებია ვერაფრის გაკეთება: ვერც მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, ვერც წარმოების ტეხნიკის განკარგება! ასეთ ყოფნას არ-ყოფნა სჯობიაო, უთქვამს კრებას, და ერთხმად დაუდგენია მოისპოს თერგის ოლქის ნავთის მრეწველთა თვით-მმართველობაო.

* * *

თავ. მეშჩერსკი ჩივის, ჩემს გაზეთს „გრაჟდანინ“-ს არ ჰკითხულობენო; ჩემს გაზეთს თქვენი ჭირი წაუღია, უბედურება ის არის, რუსეთში, საზოგადოდ, კონსერვატიული გაზეთები არ ვრცელდებაო.

> თუ გაზეთს კონსერვატიული ელფერი მიეცით, იცოდეთ, რომ მას შეცდომითაც არავინ აიღებს ხელში. საზღვარ-გარედ-კი სულ სხვასა ვხედავთ. მაგალითად, გერმანიაში, პარლამენტარიზმის ქვეყანაში, კონსერვატულ პარტიების გაზეთები არა თუ თანასწორ უფლებით სარგებლობენ ლიბერალურ და სოციალისტურ გამოცემებთან, არამედ უფრო მეტი მკითხველიცა ჰყავთ, ვიდრე ლიბერალებსა და სოციალისტებს.
>
> ამაზე მეტყვიან: გერმანიაში სოციალისტური პრესსაც ძალაა. მაგრამ, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენშიაც, ამ ათის წლის განმავლობაში, კონსერვატორთა გავლენა შესუსტდა, ხოლო დემოკრატიული გავლენა შესამჩნევად გაძლიერდა... კონსერვატულ იდეებისთვის ჩვენში დადგა კრიტიკული ხანა, რომელსაც კარგად ახასიათებს ჰამლეტის „ყოფნა, არ ყოფნა“...

თავ. მეშჩერსკი ნამდვილ ფაქტს აღნიშნავს: რუსეთში, მართლა, ნაკლებად ვრცელდება კონსერვატიული გაზეთები, ჟურნალებს ხომ სრულიად აღარ ჰკითხულობენ. მაგრამ ამ ფაქტის მიზეზი ვერ აუხსნია, თუმცა სიმართლესთან ახლოა: გერმანიის და სხვა პარლამენტალურ ქვეყნების მაგალითები გვეუბნებიან, რომ კონსერვატიულ გამოცემათა განვითარებისთვისაც სხვა საზოგადოებრივი პირობებია საჭირო.

* * *

იქნება ბევრმა არც-კი იცოდეს, რომ რესტორანებსა, ბაღებში და სხვა ამგვარ დაწესებულებაში ლაქიებს ჯამაგირი არ ეძლევათ; პირიქით, ისინი თითონ აძლევენ ფულს თავის პატრონებს. რუსული გაზეთები ყურადღებას აქცევენ ამ გარემოებას და თხოულობენ ლაქიების ექსპლუატაციის მოსპობას. გაზეთებისთვის საბაბი შემდეგს ამბავს მიუცია: მოსკოვის გაზეთების სიტყვით,

> ფილიპოვის საკონდიტეროში ლაქიები დღემდის თითო თუმანს აძლევდენ თურმე პატრონს თვეში. ეხლა ფილიპოვს ეს აღარ უკმარებია და თითოეულ ლაქიისაგან თვეში 35 მანეთი მოუთხოვია.

ამის გამო, სხვათა შორის, „ნოვ. ვრ.“ შენიშნავს:

> საინტერესოა ვიცოდეთ: აქვთ თუ არა პატრონებს უფლება თავის ნებით გადასახადი გააწერონ მუშა ხალხს? იძლევა თუ არა კანონი იმის ნებას, თუ ეს დამოკიდებულება უკანონო კომერციული ფორმაა, რომლით პატრონები მშრომელ და გაჭირვებულ ხალხს ყვლეფავენ?!

თეატრი

ქართული თეატრი. 23 ოქტომბერს ქართულ თეატრში გაიმეორეს შექსპირის კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება.“ ისევ ის არტისტები თამაშობდნენ. წარმოდგენამ მწყობრად და კარგად ჩაიარა. საზოგადოებამ რამდენჯერმე ტაშის კვრით დააჯილდოვა ქ-ნი კარგარეთელი, ბ-ნნი მესხი და გედევანოვი.

კომედიის შემდეგ წარმოადგინეს ვოდევილი „ცელქები“. ბ-ნთ აბაშიძემ და გედევანოვმა ბევრი აცინეს საზოგადოება. ქ-ნმა ტ. აბაშიძემ რამდენჯერმე იმღერა. საზოგადოდ, ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა.

—

ჰაუპტმანის ახალი პიესა „როზა ბერადტ“ 18 ოქტომბერს წარმოადგინეს ბერლინში. პიესა ძალიან მოსწონებია დამსწრე საზოგადოებას. პიესაში დახატულია დრამა სოფლელ ქალისა, რომელიც სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევის მეოხებით შვილის მკვლელი შეიქმნა.

—

ა. ა. პლეშჩეევს მთავრობამ ნება დართო გამოსცეს ყოველ კვირეული სურათებიანი სათეატრო-სალიტერატურო გაზეთი ამ სათაურით „Петербургскій дневникъ театрала“.

წერილი რაჭიდან

დორის-ჭირი.—წლევანდელი მოსავალი.—ქურდ ბაცაცები.

1902 წელს ჩვეულებისამებრ აქაურმა ხოდრებმა კახეთიდან მორეკეს დორი, რომელსაც გადმოჰყვა დორის ჭირი და დიდი ზარალი მოგვაყენა. აქაური გლეხი დორის დორითა და ქონით მიდიოდა წლის განმავლობაში იოლად და ახლა კი პირში ჩალა გამოევლო. ყველაზედ მომეტებულად ბარის საზოგადოებაში გაწყდა დორი.

ყველას იმედი გვქონდა წლევანდელ მოსავლისა. მართლაც კარგი პირი უჩნდა, მაგრამ... პურის მოსავალი ნაკლები იყო იმიტომ, რომ წასულ წელს ადრე დასთოვა და სანახევროდ დაუთესელი დარჩა პური. თუმცა გაზაფხულზე დასთესეს „ახალ თესლა“, მაგრამ ამ თესლმაც გვიღალატა (ზოგი თესლი ნატყუარი გამოდგა). სიმინდი ბარად კარგი მოვიდა, მაგრამ მთა ადგას თოვლმა გააფუჭა.

ღვინის მოსავალიც ზოგგან კარგია, ზოგგან არა.

შემოდგომა დადგა და ქურდ-ბაცაცებიც „გაჩნდნენ. სოფ. შქმერში მოიპარეს ცხენები. 8 ოქტომბერს ს. ფუტიეთში პეტრე მაგრაქველიძის მარანში შესულიყვნენ ქურდები, სამი ქვევრი მოეხადნათ, ჭაშნიკი ენახათ და შექეიფიანებულიყვნენ. შემდეგ გიორგი გიორგობიანის ბეღელი გაეტეხათ და თუ რამე მოხვედროდათ ხელში, სულ წაეღოთ. წასულიყვნენ მინდორში, ქატესა გიორგობიანის ცხენი მოეპარათ, ჩაევლოთ სხვაგაში და ლუკა დავლიანიძის ბეღელი გაეტეხათ და გასდგომოდნენ თავიანთ გზას. პოლიციამ ქურდები ჯერ ვერ აღმოაჩინა.

ი. ი—ძე.

სასამართლო

ბოქაულად ნამყოფის თავ. ანდრონიკაშვილის საქმე

23 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ, სხვათა შორის, გაარჩია საქმე განჯის მაზრის ბოქაულად ნამყოფის თავ. დავით ილიას ძის ანდრონიკაშვილისა, რომელსაც ერთის საქმის შესახებ მოწმეთა ჩაგონებით ტყუილის ჩვენება ჰბრალდებოდა. ბოქაულის თანამდებობის აღსრულების დროს, 1894 წელს, თავ. ანდრონიკაშვილს განჯის მაზრის სოფელ ტოპალგასანლის მცხოვრებლების ყული-აბილ-ოღლისა, ირზა-ველი-ოღლისა, და ხოჯა-ილჩი-ოღლისათვის რაღაც მიზეზისა გამო ჩამოურთმევია რამდენიმე სული საქონელი და გადაუცია სოფელ სარიალის მცხოვრებ ქალის გური-ქერბალაი-დოვრალიკიზისათვის იმის საჩივრისა გამო, ვითომ ეს საქონელი იმისი საკუთრება იყო. ზემოდ აღნიშნულმა პირებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და განჯის გუბერნატორთან საჩივარი შეიტანეს ბოქაულ თავ. ანდრონიკაშვილზე, რომელსაც სხვა-და-სხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენას აბრალებდნენ. გუბერნატორის მინდობილობით ამ საქმის შესახებ გამოძიება მოუხდენია გუმბრის მაზრის უფროსის თანაშემწეს რაფიბეგოვს. გამოძიებაზე მოწმეებისა და ზემოდ აღნიშნულ მომჩივანთა ჩვენებით გამორკვეულა, რომ თავ. ანდრონიკაშვილს მართლა გამოურთმევია იმათთვის საქონელი და ამასთანავე მომჩივანები 10 დღით დაუპატიმრებია. ამის გამო თავ. ანდრონიკაშვილი პასუხის გებაში მიუციათ თავის უფლების გადამეტებისა და მომჩივანთა უკანონოდ დაპატიმრებისათვის. საქმე გადაუციათ გამომძიებლისათვის და შესდგომიან გამოძიებას. 1896 წელს, 12 ივნისს, გამომძიებელთან გამოწვეულმა მოწმეებმა იმის წინააღმდეგი აჩვენეს, რაც იმათ მაზრის უფროსის თანაშემწის რაფიბეგოვისათვის განეცხადებინათ. ასეთ ჩვენების შემდეგ დარწმუნებულან, რომ მოწმეები და მომჩივნები ცრუობდნენ და თავ. ანდრონიკაშვილის შესახებ საქმე მოუსპიათ. მაგრამ ეხლა პასუხის გებაში მიუციათ მომჩივანნი და მოწმეები ცრუ მოწმობისათვის და თავ. ანდრონიკაშვილზე ცრუ საჩივრის აღძვრისათვის. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემულთ ყული-აბილ-ოღლის, ირზა-ველი-ოღლის და ხოჯა-ილჩი-ოღლის გამომძიებელთან განუცხადებიათ, რომ 1896 წელს, 12 ივნისს, სიცრუე ვუჩვენეთ მაზრის უფოსის თანაშემწეს რაფიბეგოვს თავ. ანდრონიკაშვილის თხოვნითა და მოსყიდვითაო. ამ ჩვენების დასამტკიცებლად გამომძიებელს წარუდგინეს სია მოწმეებისა და ამასთანავე ერთი ხელ-წერილი. ეს ხელწერილი იმათთვის მიუცია ორს მათისავე სოფლის მცხოვრებს სარი-იმაგ-ყულიევსა და იბრაჰიმს, რომელნიც შეჰპირებიან 50 მანეთს, თუ თქვენი საქონელი 7 დღის განმავლობაში უკანვე არ დაგიბრუნდეთო. ხელწერილი, მათის ჩვენებით, მიეცა აღნიშნულ პირებს ვითომ თავ. ანდრონიკაშვილის მოხერხებითა და გავლენით. ამის გამო ეს მეორე საქმე ყული-აბილ-ოღლისა და სხვათა შესახებ მთავრობის განკარგულებით მოისპო, მაგრამ ხელ-მეორედ თავ. ანდრონიკაშვილი პასუხის გებაში იქმნა მიცემული მოწმეების შესყიდვისათვის.

ეს საქმე ამ რამდენისამე ხნის წინად განუხილავს განჯის ოლქის სასამართლოს და დამნაშავედ არ უცვნია თავ. ანდრონიკაშვილი. ბრალმდებლის პროტესტით ეს საქმე გადმოუტანიათ პალატაში. პალატას თავ. ანდრონიკაშვილი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია სამის კვირით საპყრობილეში დაპატიმრება. პალატის განაჩენი როგორც ბრალმდებლისა, ისე ბრალდებულის თავ. ანდრონიკაშვილისაგან განსაჩივრებულ იქმნა უმართებელეს სენატში. სენატს პალატის განაჩენი დაურღვევია და ხელმეორე განხილვა დაუნიშნია. პალატაში ეს საქმე გაირჩა გუშინ, 23 ოქტომბერს. ბრალმდებლის ამხანაგმა ბ-ნმა ივანოვმა თავის საბრალმდებლო სიტყვაში ყურადღება მიაქცია სენატის გადაწყვეტილებას, აღნიშნა, რომ დანაშაულობა თავ. ანდრონიკაშვილისა დამტკიცებულია და ითხოვა, ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და ციმბირში გადასახლება. თავ. ანდრონიკაშვილის დამცველმა ნაფიცმა ვექილმა გიორგი გვაზავამ კარგა ხანს ილაპარაკა. უმთავრესი ყურადღება მიაქცია მოწმეების ჩვენებას და მოიყვანა მოსაზრებანი იმის დასამტკიცებლად, რომ შეუძლებელი იყო თავ. ანდრონიკაშვილი, რომელიც გამოცდილი იყო პოლიციის საქმეებში, ნდობოდა მოწმეთ და იმათთვის საჩივრის აღმძვრელთა მოსყიდვა მიენდოო. პალატამ შეუცვლელად დაამტკიცა განჯის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დაბა-სოფლები

—

ჭიათურა (იმერეთი). ყველაფერს ეშველა, ცოტა ყურადღება ყველაფერს მიაქციეს, მხოლოდ ბაზრის ქუჩებისათვის არავინ გამოჩნდა მზრუნველი. ეს ქუჩები ისეა ანგრეულ-დანგრეული და ლოდი ქვებით მოზნეული, რომ თუ კაცს კარგი ჯოხი არა აქვს, ათ საჟენს ვერ გაივლის. ზამთარი მოახლოვებულია და, როგორც ვატყობთ, ისევ იმ შავ წუმპეში (რომელიც ამოღრმავებულებში ჩადგება ხოლმე) მოუხდება ჭიათურის საზოგადოებას ცურაობა, რომელშიაც წასულ ზამთარში დაცურავდა. არ ვიცით, ვისი საქმეა ქუჩების შეკეთება, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ ჯერ-ჯერობით არავინაა პატრონი. მაღნების გზები ზოგი შეაკეთეს და ზოგსაც ეხლა აკეთებენ. მშვენიერი გზა კეთდება „კილავართაზედ“ (ჭიქთურში ჩადის) და, როგორც ამბობენ, ამ ორ კვირაში მოთავდება. შუქრუთის გზის (ჭიქთურში ჩადის) კეთებას ჯერ არავინ შესდგომია. ამ გზაზედ 3 მილიონი ფუთი შავი ქვა გადადის წელიწადში. ამ ჟამად ჭიათურა-ჭიქთურში საქმეები შესუსტებულია. მიზეზები შემდეგია: პირველი—ფასები დაკლებულია; მეორე—ერთის თვის წინად ყვირილა ადიდდა და ჭიათურის ხიდები დაანგრია, რის გამო გაღმა-გამოღმა მიმოსვლა შეჩერებულია და შავის ქვის გატანაც არ შეიძლება საწყობებზედ; მესამე

მორლეი მიიწვია. მორლეი ყოველთვის ირლანდიის თვით-მართველობასა და ეროვნულ უფლებას იცავდა, ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკას ესარჩლებოდა; პირველად მორლეიმ გამოააშკარავა, რომ ინგლისელები მეტად სასტიკად, უმოწყალოდ ექცეოდნენ ბანაკებში დამწყვდეულ გმირ ბურების ცოლშვილსაო, არც ისაა გასაკვირველი, რომ თვით მტრებიც კი გახარებით ამბობენ: გუშინდელი კრება მანჩესტერში დიდი მეხი იყო ბალფურისა და ჩემბერლენის რეაქციონურ და პროტექციონურ პოლიტიკისათვისაო.

თითონ მორლეის სიტყვას დაწვრილებით როდი გადმოგცემთ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მორლეიმ მეტად აშკარად, უცილობლად დაამტკიცა, რომ პურისა და სანოვაგის უბაჟოდ შემოტანამ დიდი სიკეთე მოუტანა ინგლისის ხალხსაო. პურის კანონების გაუქმების დროს ინგლისში 15 მილიონი მცხოვრები ყოფილა, ეხლა-კი—32 მილიონია, პურის ფასი მაინც ერთის მესამედით ნაკლებია მაშინდელზე; სამუშაო ქირამ $18^{0}/_{0}$ მოიმატა. ჩვენის მხრივ დაუმატებთ, რომ ინგლისში ეხლა ათას კაცში 18—22-ია კვდება წელიწადში, როდესაც სხვა ქვეყნებში ათასში 28—30 და მეტიც კვდება; ევროპის ზოგიერთ დიდ ქალაქში კი ათას კაცში 34—40 და თითქმის 45-ც კვდება. ამას გარდა მორლეიმ შესანიშნავად დაამტკიცა სასკოლო რეაქცია, სახელმწიფო ხარჯების საშინელი მომატება და ბაჟების დაწესების განზრახვა სულ სოლსბერ-ბალფურ-ჩემბერლენის პოლიტიკის ნაყოფია, ნამეტნავად ტრანსვაალის წინააღმდეგ სამარცხვინო ომისაო.—ეს ომი თითქმის $2^{1}/_{2}$ მილიარდი მანეთი დაუჯდა ინგლისს. მორლეიმ მთავრობის გარეშე პოლიტიკაზეც ილაპარაკა და გულის წყრომით აღნიშნა, მთავრობა მეტად გულ-გრილად ექცევა ტანჯულ მაკედონიასაო. ინგლისის ტრადიციონური პოლიტიკა—დაჩაგრულ პატარა ერების უფლების დაცვა დავიწყებულია. გლადსტონი და ლიბერალური ინგლისი საბერძნეთისა, ბოლგარიისა და იტალიის პატრიოტებს მედგრად ესარჩლებოდნენ, ეხლა კი ვილაცა უვიცი სიმდიდრის მხვეჭელნი ჰგმობენ კიდეც ასეთ დიდებულ საქმეებს. აი, ამ უვიც და ხარბ ხალხს ჩვენი ბეცი, რეაქციონერი მინისტრები უძღვიან წინა.

ლიბერალური პარტია და დემოკრატია ხალხის უმრავლესობის განათლებისა, თავისუფლების გამარჯვებისა, ავტონომიისა და ფედერატიულ წყობილების დაწესებისათვის უნდა იბრძოდეს და არა იმისათვის, რომ სახალხო განათლება შეავიწროვონ, იმპერიალიზმი და ბიუროკრატიზმი გააძლიერონ, პროტექციონიზმი შემოიღონ და ხალხის საჭმელს ბაჟები დაადონ.—ასე, ან დაახლოვებით ასე ლაპარაკობენ და სწერენ ლიბერალურ პარტიის ყოფილი და მომავალი მინისტრები—ლორდ სპენსერი და როზბერი, მოხუცებული ჰარკორტი და ბრაისი, ლეონარდ კურტნეი, ბირელი, სპენს ვატსონი და ნამეტნავად მორლეი. დიახ ნამეტნავად მორლეი. ამის სიტყვას და ლაპარაკს მთელი ინგლისი უგდებს ყურსა, ამისმა უკანასკნელმა შრომამ მოყვარეც გააკვირვა და მტერიც.

ეს შრომა—„გლადსტონის ბიოგრაფიაა“ სამ ტომად. მორლეიმ ამ შრომას სრული ოთხი წელიწადი მოანდომა; გლადსტონის ბიოგრაფიის გულისათვის პოლიტიკა მიივიწყა და საპარლამენტო და საზოგადოებრივ საქმეებს შესაფერის ყურადღებით ველარ ეკიდებოდა. ამაზე არა ართხელ უნანიათ ლიბერალურ გაზეთებს და პოლიტიკურ ორატორებს. მაგრამ ეხლა, როცა გლადსტონის ბიოგრაფიის სამი დიდი ტომი გამოვიდა, ყველანი მადლობას უხდიან მორლეის; ამისმა შრომამ ყველანი უსაზღვროდ გააკვირვა.—„მორლეიმ საუკეთესო და საუკუნო ძეგლი აუგო ინგლისის უდიდეს მინისტრსაო“—ამბობენ ზოგნი.—„მორლეიმ ჩვენი მწერლობა შესანიშნავის ისტორიულ ნაწარმოებით გაამდიდრაო“—ამბობენ სხვანი.—სამინისტრო საახალწლოდ მორლეის უსათუოდ „სერისა“ და „ბარონეტის“ ხარისხზე წარადგენს, მაგრამ არა მგონია მორლეი დასთანხმდეს: გლადსტონისა და ჰარკორტივით მორლეიც უსათუოდ უარს იტყვის. „პატიოსანი ჯონიც“ (მორლეი) იმათსავით სამშობლოსათვის მუშაობს და არა ხარისხისათვის.

ლონდონელი

—„შავი-ქვის“ ამხანაგობამ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო მიღება შეაჩერა. ექსპორტიორებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით, დაუკლეს ფასები და თან უპირველეს ხარისხის საქონელს თხოულობენ. თუ დიდხანს გასტანა ამ კრიზისმა, ბევრი წვრილი მრეწველი გამოემშვიდობება ჭიათურას.

ძლიერ გაჭირვებულია უწყლობით ჭიქოური. ზაფხულზედ მრეწველთა საბჭომ დარკვეთიდან მილით გამოიყვანა წყალი ჭიქოურში. ერთ-ორ თვეს წვეთავდა ამ მილში წყალი და შემდეგ ის წვეთებიც შესწყდა, რომლითაც ერთ საათსაც ვერ ავსებდით წყლის ჭურჭელს. ძლიერ საჭიროა მიაქციოს ამას ყურადღება საბჭომ.

ლადო გუბელი.

სოფ. შაშიანი (კახეთი). აქეთ მრავალი ქურდობა და სხვა-და-სხვა ავ-კაცობა ჰხდება. გამაბეზრებელი უფრო ის არის, რომ დანაკარგს სხვა ნაღდს ფულსაც თან აყოლებენ აქაურები. როდესაც მოიპარვენ ცხენს, კამეჩს, ხარს ან სხვა მსხვილ-ფეხ საქონელს, რამდენისამე დღის შემდეგ პატრონს მოსდის მთხრობელი, ჰპირდება დანაკარგის დაბრუნებას და გასამრჯელოში იღებს ერთი თუმნიდან ოცდა ხუთ მანეთამდე. ამ რიგად პატრონი დანაკარს ხომ ჰკარგავს და საშუა-კაცოც ჩაილულის წყალსა სვამს. ამისთანა შემთხვევები ძალიან ხშირია. ამას გარდა აქაურს გულ-კეთილს ხალხს ყველა ატყუებს. წასულს კვირას ერთი ვიღაც ბერის სახელით დადიოდა მოსათხოვნელად. ის დალოცვილი, მეტად სხვანაირად თხოულობდა, თხოულობდა კი არა, ბრძანებლობდა. სულის მამას თბილად მოსვენება მოუხდება, ერთი ან ორი ჯამი ხორბალი არ მეყოფა, უეჭველად ერთი ან ორი ლიტრა იყოსო.

ასეა, ჩემო ბატონო, ყველა ამაებს მეორე დღესვე ვივიწყებთ, რადგან დალოცვილი მაჭარი საკმაო გვაქვს და მასში ვპოებთ შვებას, და თავს ვაძლევთ დავიწყებასა.

ა. ფ.

სოფ. დიდი ხორში (სამეგრელო). 7-8 დღეა, რაც მცხოვრებთ გაათავეს ყანებში მუშაობა. დიდი შრომა არ მოგვსვლია და არც ჩვენი ბეღელ-ნალიები შეიტყობენ სიმძიმეს. წელს ძალიან მცირე მოსავალი მოგვივიდა. იშვიათი იქნება იმეთი ოჯახი, რომ საყოფი მოსავალი ჰქონდეს. მიზეზი განუწყვეტელი წვიმებია, რომელმაც დაალპო მოსავალი. ჩვენი სიმდიდრე იყო სიმინდი, ვენახი და ნიგოზი. ვენახმა 3-4 წელიწადია, რაც თავი დაგვიკრა, წელს ხომ სულ დაგვავიწყებინა ღვინის გემო. ნიგოზსაც ღმერთი გაუწყრა, ნაყოფს ვილა ჩივის, ნიგვზის ხეები ძირიანად გახმა. რადგან მარტო სიმინდზე იყო ჩვენი საქმე დამყარებული, სიმინდს დავუწყეთ ნამეტანი პატივისცემა და ალერსი, ე. ი. სიმინდისთვის ძალი და ღონე აღარ დაგვიშურებია. მაგრამ სიმინდსაც რაღაც პეპელა გაუჩნდა და სულ გაანადგურა. ეხლა აღარ ვიცით, რით უნდა გამოვიკვებოთ თავი.

ეკ. გვასალია.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ოქტომბერი

ბელგრადი. საზღვარ-გარედ გავრცელებული ცნობები, ვითომ ბელგრადსა და ბოლგარიის სხვა ქალაქებში ოფიცრები დაეტუსაღებინოთ, სიცრუეა. ტყუილია აგრეთვე, ვითომ პროკლამაციები ეპოვათ, რომელშიაც მეფე პეტრეს ბრალსა სდებენ, ვითომ მეფე ალექსანდრეს მოკვლა მისი მოხერხებული იყოს.

ნიუ-იორკი. პანამიდან იუწყებიან: კოლუმბიის გემმა „ბოგოტა“-მ ინსურგენტებს გაუგზავნა ულტიმატუმი, რომ კოლუმბიის მთავრობა ისევ აღადგინონ, მაგრამ გემმა პასუხს აღარ დაუცადა და ზარბაზნები დაუშინა სიმაგრეებსა და ქალაქს; კანონერის გემებმა სროლითვე უპასუხეს. „ბოგოტა“ ისევ ზღვაში გაბრუნდა.

დარმშტადტი. შუადღისას იმპერატორი ვილჰელმი ვისბადენიდან ეგელსბახს წავიდა, სადაც მას ხელმწიფე-იმპერატორი დაუხვდა. გულითად მისალმების შემდეგ მონარხები ეტლით ვოლფსგარტენს გაემგზავრნენ, სადაც იმპერატორ ვილჰელმს ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული დაუხვდა. სანადირო სასახლეში გამართეს საუზმე, რომლის შემდეგ სასახლის მატარებლით დარმშტადს გაემგზავრნენ, სადაც სადღესასწაულო სადილი გამართეს.

შარლოტენბურგი. მომსვლი დაასაფლავეს. იმპერატორის მინდობილობით კრონპრინცმა საფლავზე გვირგვინი დაადო.

ბოგოტა. კონგრესი დაიხურა. პანამის არხის საკითხს სრულიადაც არ შეეხებიან.

სტამბოლი. საფრანგეთმა დაავალა თავის ელჩს, მხარი დაუჭიროს რუსეთ-ავსტრიის მოქმედებას. საფრანგეთის ასეთი მოქმედება შედეგია გრაფ ლამსდორფის პარიზში მოგზაურობისა. მანამდის საფრანგეთის წრეები ძლიერ თავ-დაჭერით ექცეოდნენ მიურშტეგში შემუშავებულს რეფორმათა პროგრამას.

ნიუ-იორკი. პიკვილის მახლობლად მდინარე გუდსონზე მთავრობის საწყობები, რომლებშიაც ასაფეთქებელი ნივთიერება ინახებოდა, აფეთქდა. მოკლულია 16 კაცი

24 ოქტომბერი

ბერლინი. ხელმწიფე-იმპერატორმა უბოძა გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარს რიხტჰოფენს ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, ხოლო მის ამხანაგს პირველ ხარისხის ორდენი წმ. ანნასი.

დმიტროვსკი. ერობამ გამოსთქვა სურვილი საარჩევნო ცენზის შემცირებისა.

კიევი. სლავიანთა საზოგადოების სხდომა იყო. საბჭომ დაადგინა, ხელ-უხლებელ ფონდიდან ათასი მანეთი გაუგზავნოს სოფიის სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას ტანჯულ სლავიანთა დასახმარებლად.

სტამბოლი. პორტა თავის პასუხში იუწყება: მივიღე მემორანდუმი რეფორმათა შესახებ და ნაწილი ამ რეფორმათა უკვე სისრულეშია მოყვანილი. სრულიად რეფორმის განხორციელების საქმეში პორტას ხელს უშლის კომიტეტების მოქმედება. პორტა რეფორმათა თვითეულ მუხლზე კერძოდ არ უგებს პასუხს. ის უმთავრეს მუხლებზე არაფერსაც არ ამბობს, მხოლოდ გარკვევით ორ მოთხოვნილების მიღების შესახებ გამოსთქვა სურვილი: გადასახადებისაგან განთავისუფლებისა და იდავების ბატალიონების დათხოვის შესახებ. პორტას პასუხი ვერ არის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ არც უარს შეიცავს. როგორც სჩანს, დანარჩენ მუხლების შესახებ პორტა ჯერ-ჯერობით არას ამბობს, რათა ჯერ კიდევ შეძლება ჰქონდეს მოთხოვნილებათა განხილვისა. რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებმა პორტას პასუხი თავიანთ მთავრობას გაუგზავნეს და მოელიან საჭირო ინსტრუქციას.

დარმშტადტი. ბიულოვმა გრაფ ლამსდორფთან ისაუზმა. საუზმეს შემდეგ წარჩინებულმა მოხელეებმა ითათბირეს. სადამოს ვოლფსგარტენში სადღესასწაულო სადილი იყო გამართული. იმპერატორი ვილჰელმი ხელმწიფე-იმპერატორსა და ხელმწიფე-იმპერატრიცას შუა იჯდა.

ეგელსბახი. იმპერატორი ვილჰელმი, ხელმწიფე-იმპერატორთან გულითად დამშვიდობების შემდეგ, ვილდპარკში გაემგზავრა.

სოფია. საქმის კარგად მცოდნე წრეები უარსჰყოფენ ლონდონში ბოლგარიის აგენტის განცხადებას, ვითომ ომი აუცილებელი და ეკონომიურად სასარგებლო იყოს კრიზისით დაქვეითებულ ბოლგარიისათვის. აგენტის განცხადება, ვითომ ბოლგარიაში 150 ათასი გადმოხვეწილი სცხოვრობდეს, მართალი არ არის, აქ მარტო 30 ათასია. პორტას არაპირდაპირმა პასუხმა აქ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და მაკედონელებში უკმაყოფილება გამოიწვია.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,65	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	$5\text{-}6^{1}/_{2}\%$	
4% სახელმწიფო რენტა	$99^{1}/_{2}$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
$4^{1}/_{2}\%$ შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$95^{1}/_{8}$	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	$448^{1}/_{2}$	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$336^{1}/_{2}$	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	285	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
$4^{1}/_{2}\%$ ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$91,^{1}/_{2}$	„
$4^{1}/_{2}\%$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$90,^{3}/_{4}$	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	$200,^{1}/_{2}$	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან.**

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

იყიდება

ალექსანდროვის ბაღში, სამეურნეო საზოგადოების შენობაში **ხელსაყრელ ფასათ,** კვერცხი, ქათამი, ბატი, ერბო, თაფლი და თუშური ყველი (სანოვაგე იგზავნება დიდ გომარეთის საგლეხო დამხმარებელ საზოგადოებისაგან).

(2—185—2)

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლოს-ყგუროულში

დაიწყო გაყიდვა **დამყნილ** დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე **ვაზის რქები** საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის, მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისთვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის. В. Тьебо Кутаисъ.

(10—6.—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

იბეჭდება ახალი გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელ საზოგადოებისა“

საქართველოს კალენდარი

ვალ. გუნიასი

რედაქცია ფილ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარი შესწორებულია და შევსებული მრავალის ახალის ცნობებით. კალენდარში მოთავსებული იქმნება სხვა-და-სხვა სამეცნიერო წერილი და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი წინანდებურად დასურათებული იქმნება.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად

წიგნის თავში—1 გვ.—10 მან., ნახევარ გვ.—6 მან. წიგნის ბოლოში—1 გვ.—6 მან., ნახევ. გვ.—4 მან.

განცხადება მიიღება: ტფილისში—საზოგადოების კანცელარიაში (Общество грамотности), ქუთაისში—ვ. ბექანეიშვილთან და მიტრ. ლაღიძესთან, ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან.

იბეჭდება იმავე „საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი

კალენდარი იქმნება დიდის ფორმატისა. წინა გვერდზე, გარდა საეკლესიო ცნობებისა, აღნიშნული იქმნება ისტორიული მოვლენანი; უკანა გვერდზე მოყვანილ იქმნება გამოჩენილ პირთა აზრები, ლექსთა ნაწყვეტებია ისტორიულ-ბიოგრაფიული და სხვა გამოსადეგი ცნობები.

(10—6.—10)

მაზოლის სითხე ჰოლლენდერ

მაზოლი ისპობა, თუ ისმართ ჰოლლენდერის სითხეს, ამასთანავე ტკივილს ვერ იგრძნობთ. ერთი ფლაკონი ღირს 35 კაპ., 2 ფლაკონი ფოსტით იგზავნება 1 მანეთად ი. ჰოლლენდერის ლაბორატორიიდან, ს.-პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქ. № 13

ისყიდება იმპერიის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

(4—6.—4)

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).